წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 10 კ.    ტელეფონი № 76.    პარასკევი 23 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლით რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნომერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენის სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება ...
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, ... კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადებების ფასი:
პირველ გვერდზე ... ღირს ... 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე ... 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ... სამგლოვიარო განცხადებების ...

№ 61    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 61

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

ხუთშაბათიდან 22 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი

გამოჩენილ მწერლისა ე. ჩირიკოვის. კინო დრამა 5 ნაწ. მონაწილეობით ვ. პავლოვისა, ვ. ნერონოვის, ა. მოროზოვის და ა. ლეონტიევის. დადგმა ამ პიესისა აკრძალული იყო ძველი რეჟიმისაგან.

ელექტრო „ა მ პ ი რ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

22 ივნისს 1917 წ. ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

გ ა ქ ი დ უ ლ ი დ ი დ ე ბ ა

მხატვრული დრამა 6 ნაწ. ლ. ნიკულინის სცენარიუსობით.

ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

ხელის მომწერთა — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



პარასკევს, 23 ივნის გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცირკის ხელოვნებისაგან. გასტროლები გამოჩენილ ბელგეთის დასისა

5 გლიგეტი,

და აგრეთვე გამოსვლა პეტრაკოვსკების. დღეს იჭიდავებს 3 წყვილი საინტერესო მოჭიდავეებისა.

1. არბიტრი ქალთა მოჭიდავეებისა ვასილ მელნიკოვის წინააღმდეგ სალინაკისა. პრემიათ გამარჯვებულს ეძლევა 25 მანეთი. 2. ვახტუროვა და რიურიკი. 3. რომანოვა და სულეიმანი. დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი: მზადდება გრანდიოზული ბენეფისი ხუმარასი ფლორენსის და კრისტის.
ამ მოკლე ხანში ჩამოვლენ გამოჩენილი მოჭიდავე ქალები ლუცია და პიტლია.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

გამოცდილი — მასწავლებელი

**(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.**

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

მედგარი.— საქართველოს ტერიტორიის საკითხი.

ინ—ხანი.—სახელმწიფო სათათბირო.

რეს.—საერთო მიმოხილვის მაგიერ.

მ. ბუაჩიძე—ერთი თხისკენ, მეორე მგლისკენ.

რუსული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. უნივერსიტეტში მიღების პირობები. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დადგენილებანი. რუსეთი. უცხოეთი. მოწერილი ამბები. ახალი ამბავი.

## საქართველოს ტერიტორიის საკითხი.

ქართველ ერის მოწინავე ელემენტი, ინტელიგენცია და მთელი ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობის დროს ეს დროც დაგვიდგა. საჭიროა ვისარგებლოთ მით. სწორედ აქ, აი, ამ გარდამწყვეტ დროში, აშკარად აღმოჩნდა წარმოუდგენელი უთანხმოება. უწინარეს ყოვლისა უნდა გავსჭედოთ ერის მომავალი, უნდა მოუპოვოთ მას შეურყეველი, მტკიცე, ხანგრძლივი, ცხოველმყოფელი პირობები თავისუფალ არსებობისა. აქ სწყდება კითხვა ერის თავისუფლად ყოფნა-არყოფნისა. ცხადია, ეგ საკითხი სასურველად გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მივუდგებით ჩვენივე ერის ცხოვრების ინტერესის თვალსაზრისით. ერთ შემაერთიანებელ სხივთ ტეხილში (ფოკუსში) უნდა მოთავდეს ერის ეკონომიური, ისტორიულ-კულტურული, ზნეობრივ-იურიდიული და სტრატეგიული ინტერესები. თქმა არ უნდა, ტერიტორიის საკითხი ყველა საკითხზე უმთავრესია; თუ გნებავთ, იგი ყველა სხვა საკითხის გამაერთიანებელია. თვით სრულიად, უნივერსალად თავისუფალი ავტონომია, თუ გნებავთ, თვით ავტარხიაც შეიძლება მოგვენიჭოს, მაგრამ ტერიტორიულად ისე შეკვეცილი, რომ 1) შესაძლოა მთელ ავტონომიურ საქართველოს არსებობა, კულტურული დამოუკიდებულობა, თვით შესაძლებლობა მეურნეობითი აღორძინებისა საშინელ განსაცდელში ჩავარდეს და მთელი ნახევარი ნაწილი მომავალ „ავტონომიურ“ საქართველოისა ეკონომიურს სრულს განადგურების პირზე მივიდეს; 2) ყოველი თავისუფალი ერი მაშინ არის ღირსი თავისუფლებისა, როდესაც ერთი წუთითაც არ კარგავს ყოველ დღიურ ზრუნვას თავისუფლების შესანარჩუნებლად. ამისათვის კი უმთავრესი და უუმნიშვნელოვანესი გარემოებაა ტერიტორიის სტრატეგიულად უზრუნველყოფა ისეთი შემოფარგვლით, რომ ბუნებრივი ზღუდეები საკმარისს საფარს იძლეოდეს. ჩვენ იმედი გვაქვს კეთილ-მეზობლობისა. მაგრამ დღეს თუ არა ხვალ შეიძლება მეზობლების მიწა-წყალზე სხვა ნებისყოფა გაძლიერდეს, მისგან დაცვა ჩვენი თავისუფლებისა გაგვიადვილდება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ტერიტორია სათანადო ბუნებრივის ზღუდეებით იქნება შემოსალტული. ერის მოჭირნახულე, ნამდვილი პოლიტიკოსი—პრაქტიკოსი ერის თავისუფლებას რეალობათ მაშინ აღიარებს, როდესაც ეგ კითხვა დადებითად იქნება გადაწყვეტილი წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლება მხოლოდღა ფუჭე ქაღალდი იქნება. თვით კულტურულათ და ტეხნიკურად უაღრესად დაწინაურებულ გერმანეთი მუდამ გაფაციცებით და მგზნებარე სიფხიზლით ეპყრობოდნენ თავიანთ სამშობლოს საზღვრებს აღმოსავლეთით, სადაც მათ არავითარი ბუნებრივი ზღუდე არა აქვთ. ეს გარემოება ქვა კუთხედი იყო აქამდე სახელმწიფო მოღვაწეთა ზრუნვისა. გერმანელებს კიდევ შესწევდათ ძალი თადარიგის დაჭერისა. მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაპყროთ ჩვენ ამ საკითხს, რადგან სხვებსავით დიდ სამხედრო თადარიგს ვერ შეუდგებით.

3) ჩვენი ერისთვის ყოველ მხრივ უზრუნველ ყოფილი თავისუფლების მოპოება მთელი ჩვენი საარსებო ძალების ამუშავება მოითხოვს. ზნეობრივ-უფლებრივი მოტივი ამ მიზნისათვის ბრძოლაში, გამაგრებული ისტორიულ-კულტურულ და ეთნიურ ფაქტებით, გამომხატველია ეროვნულ შეგნებისა. რაც უფრო ძლიერია უკანასკნელი, მით უფრო შეურყეველი და მედგარია ეროვნული პოზიცია უფლებრივი მხრითაც, არც ერთი მტკაველი სხვისი მიწისა ჩვენს საზღვრებში, არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყლისა სხვის საძღვრებში! ეს მოთხოვნა უნდა იქნეს დამყარებულ სწორედ ზნეობრივ-უფლებრივ ნიადაგზე. თუ ამ პრინციპს რაიმე საქველმოქმედო მიზნით უღალატებს ვინმე, ის ამით მხოლოდ გაამართლებს, ერთგვარ სანქციას მისცემს მაინც, პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო ქართველთა გაძევება საქართველოდგან და რომელიც იწყებდა თავის საქმეს სწორედ ჩვენი განაპირა კუთხეებიდან: სხვის ჩასახლებით, ჩვენი გლეხობის აბანაკებით, მისი იქ დასახლების აკრძალვით, თუ ასეთმა პოლიტიკამ 117 წლის განმავლობაში რაიმე შესამჩნევი კვალი დასტოვა ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენი მოვალეობაა, ეს კი არ გავამართლოთ ამ კუთხეების მიტოვებით, არამედ შევებრძოლოთ მას, როგორც ერთ-ერთ გამოხატულებას გარუსების პოლიტიკისას, მით უმეტეს, რომ განაპირა კუთხეები სრულიად ვერ აჭრელებენ ეთნიურად საქართველოს. 14 15 პროც. უცხო ტომისა, (და ისიც ეხლანდელი უკუღმართი სტატისტიკის მიხედვით) სრულიად უმნიშვნელო პროცენტია, რომლისათვის მთელ საქართველოს ინტერესის დაზიანება მომაკვდინებელი ცოდვაა. ერის ინტერესების დაცვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დამცველი მჭიდროდ სდგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და თავისი მოქმედების საზომად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესი აქვს. მაშინ მას უკვე აქვს ჩარჩოები, სადაც უნდა ტრიალებდეს მისი პოლიტიკური აზროვნება და რომლის დაგვარათ უნდა ირჩეოდეს ყველა საკითხი, რაგინდ ისტორიულსა თუ მსოფლიო კულტურული მნიშვნელობის არ უნდა იყოს იგი. თუ მოღვაწე ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ჩარჩოებს გადასცდა თვის საერთო მოქმედებაში, მაშინ ის აღარ არის ეროვნული მოღვაწე. ჩვენის ტერიტორიის საკითხი სწორედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხია, რომლის გადაწყვეტაზეა დამყარებული მთელი ბედი, როგორც საქართველოს ავტონომიური, ისე ეკონომიური და კულტურული არსებობის შესაძლებლობისა. საუბედუროდ 1905 წ. რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ საქართველოს მთლიანობა ამით არ შერყეულა. საბედნიეროდ ეხლანდელი რევოლუცია უსათუოდ გამარჯვებული იქნება თვის მთავარ მიზნებში. დაუღალავი შრომაა საჭირო, რომ ამ რევოლუციის ბედნიერ გამარჯვებას ჩვენი ერის მომავალისათვის გაუსწორებელი საზიანო შედეგები არ მოყვეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სხეულის გამზარვით. ისტორიის წინაშე ასეთი შეცდომა მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ამ შეცდომის გამო ჩვენი ცოცხალი ინტერესები ეწირება საუკუნეთა განმავლობაში ზოგიერთ იდეალებად შთენილ, ეროვნობის გარეშე მდგომ, მისწრაფებათ.

გარდამწყვეტ დროს გადაჭრილი მოქმედებაა საჭირო.

მედგარი.

## სახელმწიფო სათათბირო.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დეპეშა იყო მოთავსებული, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომას, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობის მიერ გამოტანილ რეზოლუციით გამოწვეულს. ეს რეზოლუცია მოუწოდებს დროებით მთავრობას, დასვას კითხვა სახელმწიფო სათათბიროს გაუქმების შესახებ.

პრემიერ მინისტრ ლვოვმა ჯერ ჯერობით შეუძლებლად სცნო ამ კითხვის დასმა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ძალამოსილი მუშ. და ჯარ. კაცთა დეპუტატების ყრილობა სახელმწიფო სათათბიროს არსებობას ზედმეტად სთვლის, მეტად საყურადღებოა.

უეჭველია, რომ 3 ივნისის „დუმა“ ვერ არის გამომხატველი მთელი რუსეთის სულისკვეთებისა. იქ მხოლოდ ცენზიანთა წარმომადგენლები სხდან და მათი მოქმედება, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს გადახალისებულს, დემოკრატიულად განწყობილ რუსეთს: მხოლოდ საქმე ის კი არ არის, რომ ეს დუმა ეხლა აღარ აკმაყოფილებს რუსეთის დემოკრატიას, არამედ ის, რომ მის გაუქმებას უეჭველად რევოლუციისათვის საზიანო შედეგების მოტანა შეუძლია. ეს დუმა ერთი პირველ თავგანი იყო, რომელმაც აჯანყებულ ჯართანა და მუშებთან ერთად თავი მოჰკვეთა ძველს რეჟიმს.

თავრიდის სასახლე პირველ საპყრობილედ იქცა დაპატიმრებულ შტიურმერ-პროტოპოპოვებისათვის. ალბათ ეს ფაქტი არ დაავიწყდებოდა 4 თვის განმავლობაში მთელს რუსეთს და უთუოდ აპატიებდა კიდეც ამ დუმას მის „ცენზიანობას“!

მეორე მხრით, ამ დუმამ მართლაც არ მიიღო ისეთი მიმართულება, რომ ეს სიმპატიები მისდამი ბოლომდის შერჩენილიყო. ოკტიაბრისტები და კადეტები სულის ჩამდგმელნი იყნენ სათათბიროსი. ერთს როძიანკო მეთაურობს და გუჩკოვი, ხოლო მეორეს მილიუკოვი. თუ მოვიგონებთ ამ პირთა იმპერიალისტურ მიდრეკილებას, ამასთანავე მთელი რუსეთის დემოკრატიის მიერ აღიარებულ „უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ერთა თვითგამორკვევის იდეაზე აგებულ“ პრინციპებს მოვიგონებთ, ოდნავად დაგვესახება თვალწინ ის უფსკრული, რომელიც რუსეთის დემოკრატიისა და დუმის შორის გადიშალა.

ყოველგვარი ზომები მიიღეს მათ შუა ხიდის გასადებათ. კომპრომისებზე წავიდნენ, ყველა დათმობის გზას დაადგა, რევოლუციის მსვლელობა ვითომდა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ გუჩკოვი და მილიუკოვები მეტად შეურიგებელნი გამოდგნენ.

ოციულეს სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა თავიდან და თვის მიდრეკილებათ ახსნეს ალვირი. გაცხარებული მუშაობა აწარმოვეს ყაზახთა შორის და წინეთ რომანოვების „ოპლოტი“ (ფუძე) დღეს თვის დამცველათ გამოიყვანეს. გუჩკოვმა მწარე ხახვი შესჭამა და თვალცრემლიანი წარსდგა ყაზახების წინაშე: არიქა თქვენ თუ უშველით ისევ რუსეთს, თვარა დემოკრატია თავს წაგვაჭრის და ვედარც სტამბოლსა და სრუტებს ვიგემებთ და ვეღარც უშველებელი რუსეთის ტერიტორიას შევინარჩუნებთო. ყაზახთა ყრილობამაც ბანი მისცა მას და შეჰყვირა: ნაგაიკები და პიკები კვლავაც ჩვენს ხელთ იმყოფებიანო.

დემოკრატიულმა რუსეთმა ალბათ კარგად გაუსინჯა კბილი ასეთ მიდრეკილებას და სისხლისა და კონტრ-რევოლუციის ატმოსფეროს განდევნა მოუნდომა.

რამდენად შეესაბამება მუშათა და ჯარისკაცთა მოთხოვნილება სათათბიროს დათხოვნის შესახებ რევოლუციის ინტერესებს, სწორედ ამ ფაქტიდან უნდა გავიგოთ. სათათბიროს ესვევ მილიუკოვროძიანკო-გუჩკოვები წარმოადგენენ და ნასახშივე რომ ჩაახრჩოს მოსალოდნი მოქალაქოებრივი ომი, სრულიადრუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობამ სათათბიროს გაუქმება ილიარა.

იბადება კითხვა: მიზან შეწონილი იქნება ეხლა სათათბიროს გაუქმება? სათათბირო ჯერაც გავლენა მოსილია ხალხში. ჩხეიძე, კერენსკი, სკობელევი და სხვანი მის შვილად მიაჩნია ხალხს და ამას უთუოდ გაუწევს ანგარიშს, როდესაც დაჰკითხავს თავს, საჭიროა თუ არა დუმაო. ჩვენ დროს რევოლუციის სათავეში მდგომი ორგანოები რუსეთის დიდი უმეტესობის სიმპატიებით არის აღჭურვილი.

ასეთ მდგომარეობას სახელმწიფოს მესაჭეებმა დიდი ანგარიში უნდა გაუწიონ, რომ კონტრ რევოლუციამ მართლაც არ გაიდგას ფესვები და არ დამარხოს ნეტარი თავისუფლება ვნახოთ როგორ დააღწევს თავს რუსეთი ასეთ განსაცდელს.

**ინ-ხანი**

## საერთო მიმოხილვის მაგიერ

(რ უ ს ე თ ი)

შეტევის მნიშვნელობა.

აწინდელი მომენტი ყოველ დღე ახალ-ახალ მოვლენების და ცვლილებების წინაშე გვაყენებს. თავისთავად იბადებიან კითხვები, ჩნდებიან გარემოებანი, რომლებიც ანგარიშის გაწევას და მსჯავრის დადებას მოითხოვენ.

ხალხმა უკიდურესად დაჰიმა თავის ძარღვები და, ვით სიცხით გადამწვარ უდაბნოში უწყლობისაგან გაწამებული, ისე დაეწაფა თავისუფლების ყოველ მხრივ ზიარებას გზა და გზა მარტივად სჩანს და მედგრად იბრძვის კერძო ინტერესები. კლასების ურთიერთობა რევოლუციურ რუსეთში გართულდა. რევოლუციის რაშს შავად მოსდევს საზარ ანარქიის შავი ყორანი. რუსეთმა მთლიანი ძალით მსვლელობა ვერ შესძლო. კარგა ხანია მოხდა კლასების გათიშვა და ერთმანეთისადმი დაპირდაპირება. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ორი რუსეთი. ერთ რუსეთს სოციალისტი მინისტრები მეთაურობენ, მეორეს „ზომიერი“ გუჩკოვ-მილიუკოვ როძიანკოები. მეორე რუსეთი უკანასკნელ დროს ყაზახებს შესჩიოდა, თუ როგორ განსწირეს სოციალისტებმა რუსეთი. „ხმალი იძვრე და წინ მტერს ეკვეთეო ემუდარებოდენ „ომიანობისთვის შობილ“ ყაზახებს. სულიერი და ფიზიკური განწყობილება რუსეთისა ისეთია, რომ ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯის გადასადგმელად მას დიდი სიფრთხილე ესაჭიროება. რატომ? წარმოიდგინეთ ის, რაც ხდება რუსეთში, და მაშინ შესაფერ დასკვნას მიიღებთ.

შიმშილი, განზრახ ცეცხლის გაჩენა, ჯარის ნაწილების გადადგომა, ძარცვა-გლეჯა, ფიზიკური ავადმყოფობა, და კრიზისები ყოველ დარგში. პირველი რუსეთი ასეთ გარემოებას, დიდი ხანია, აფასებდა და ქაოტიურ ყოფისაგან თავდასაღწევად დაჩქარებულ იქმნა დამფუძნებელ კრების მოწვევა.

17 ივნისს, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევის ვადა გამოქვეყნდა, მეორე დღეს, ე. ი. 18 ამა თვეს, სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ჯარს შეტევა უბრძანა. რუსის ჯარის ერთი ნაწილი ეკვეთა მოწინააღმდეგეს და გამარჯვება მოიპოვა. მეორე რუსეთი ამ მოვლენით გახარებულია და კერენსკის ადიდებს. ზემოდ ვსთქვით, თუ როგორ განცდაშია ამ ხანად რუსეთი; ცხოვრება ჯერ არ განმტკიცებულა, მტკიცე ორგანიზაცია არ არის. მაშასადამე ასეთ მომენტში გარეშე მტერთან ბრძოლა, და ისიც შეტევითი, მეტად საძნელოა ამოქმედდა მხოლოდ ჯარის უმნიშვნელო ძალა. სხვა ჯარი ჯერხნობით ისევ პასივობაშია. თქმა არ უნდა, რუსეთის შეტევა მძაფრ წინააღმდეგობას შეიხვედრებს გერმანელებისაგან.

რევოლუცია უბედურების წინაშე წარსდგება, თუ ჰინდენბურგმა შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარი დაამარცხა. ბრძოლის ველზე დამარცხება ძნელად გამოსაცნობ პერსპექტივას განამზადებს რუსეთის თავისუფლებისთვის.

საფრანგეთის პირველი რევოლუცია გარეშე მტერმა დაამარცხა. რევოლუციურ საფრანგეთის ჯარმა „გმირობა“ მაშინ იწყო, და კორსიკელი ბონაპარტე მაშინ მოიშველია, როდესაც დამარცხებათა მთელი რიგი განიცადა. მაშინ პირობები სულ სხვა იყო. დღევანდელი პირობები ოდნავადაც არ წააგავს მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19-ს დასაწყისს. რუსეთის მდგომარეობა გაცილებით უფრო ძნელია. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი მომავალი.

**რეს.**

## რუსული პრესა.

უკრაინელთა მიერ ავტონომიის გამოცხადების გამო.

თუ ამდენ ხანს ყოველ გვარი საშვალებებით მიჩქმალვას უპირობდენ ეროვნულ კითხვას, დღეს უკვე სხვა კილოთი ლაპარაკობს რუსული პრესა, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ, გამომხატველია რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილისა. აი რასა სწერს უკრაინის რადის მიერ ავტონომიის გამოცხადების გამო ტრუდოვიკების ორგანო გაზ. „დენი“:

სრულიად უკრაინის სამხედრო ყრილობაზე უკრაინის ცენტრალურმა რადამ გამოაქვეყნა აქტი უკრაინის ავტონომიისა.

ამით მრავალწამებულ რუსეთის რევოლუციას ახალი ზღუდე აღუდგა წინ.

ვეცდებით ფრთხილად მოუაროთ სახიფათო ეროვნულ კითხვას. ეს მით უფრო გაგვიადვილდება, რომ პრინციპიალად ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ უკრაინის ავტონომიისა არა თუ მომავალში, არამედ ეხლავე აღვიარებთ აუცილებლობას უკრაინის გარდაუდებლივ საჭიროებათა, რომ დროებითმა მთავრობამ იგინი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენ ვამბობთ, რომ, როგორც დროებითი მთავრობამ, ისე რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა ცოდვა ჩაიდინეს უკრაინის წინაშე. ჩვენ ცენტრალიზმით გაჟღენთილ ატმოსფერაში ვართ აღზრდილნი და უნებლიეთ დოქტრინერებად გამოვდივართ ეროვნულ კითხვებში. ჩვენ ამ კითხვათ უყურადღებოდ ვსტოვებთ და სხვა უფრო საჭირო საქმეებითა ვართ დატვირთულნი.

არა ითქმის რა ამის წინააღმდეგ, რომ რევოლუციის გატარება უფრო გაგვიადვილდებოდა, თუ ისეთ კითხვებს, როგორიც არის არმიის დემოკრატიზაცია, მუშათა, აგრალული, ეროვნული და სხვა -- დღიურ წესრიგში რიგრიგად მოვათავსებდით, ხოლო ომისა და ზავის კითხვებს და დემოკრატიული მთავრობის ორგანიზაციულად შეკვრას, წესრიგს გარეშე მდგომ კითხვების ხასიათს მივსცემდით. მაგრამ ძალაუნებურად რევოლუცია განსაკუთრებულ პირობებში უნდა ვაწარმოვოთ და რეალ ფაქტების გვერდის ახვევა ამწვავებს და ართულებს საქმეს.

დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელ კრებაზე გააგზავნა უკრაინელები, ე. ი. უბრალოდ რომა ვსთქვათ, მოხსნა უკრაინული კითხვა დღიური წესრიგიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ მან კანონიერი ეროვნული მოძრაობის სრულიად სახელმწიფოებრივ კალაპოტში ჩაყენებაზე უარი სთქვა. ამას შემდეგად ის მოჰყვა, რომ ეროვნული მოძრაობა სტიქიურ ნიაღვარად იქცა.

ჩვენი მთავრობის შეცდომის აღიარება იმას კი არ ნიშნავს, რომ უკრაინელთა რადის შეცდომები სრულიად მივივიწყოთ.

სრულიად შეუწყნარებელია ის კილო, რომლითაც რათა მთელი რუსეთისაგან მიჩნეულ მთავრობას ელაპარაკება. ეს კილო თვისი მყვირალობითა და დემაგოგობით იმ ელემენტების სისუსტეს ამჟღავნებს, რომელნიც თავის თავს აპლომბით აღიარებენ მთელი უკრაინის წარმომადგენლებად. ეს კილო მეტის მეტად არის გამსჭვალული ნაციონალისტურ ელემენტებით.

რამდენადაც ნაკლებია მასში სალი პოლიტიკური აწონდაწონვა, იმდენადვე სჭარბობს შიგ მოუთმენლობა და რუსეთის დემოკრატიისადმი უნდობლობა.

ისინი არა თუ მარტო დროებითი მთავრობას აცხადებენ უკრაინის მტრად არამედ დამფუძნებელ კრებასაც მარტოოდენ, რომ მან მხოლოდ ,,შტემპელი'' დაარტყას იმ კანონებს, რომელსაც რადა შეიმუშავებს. უკრაინელ ნაციონალისტების მიერ თვისი ფუძის, რუსეთის დემოკრატიის, მტრად აღიარება, ერთობ ნაადრევია. ჩქარა კი დავიწყებიათ მათ, როგორც უკრაინელთა, ისე რუსეთის დემოკრატიის საერთო მტრის არსებობა.

ისინი უკვე სთვლიან ახალ წყობილებას იმდენად გამაგრებულად, რომ უფლებას აძლევენ თავს ფუფუნებას მიეცენ და ახალი წყობილების საძირკვლებს ძირის თხრა უწყონ.

ისინი ვერ ხედვენ რომ მხოლოდ მთელი დემოკრატიის ერთობას მიეცემა რეალი საფუძველი ეროვნულ ავტონომიის განსახორციელებლად.

ისინი პატრიოტები არიან თვისი სამშობლოსი, ხოლო ვერ ითვალისწინებენ თვის მოთხოვნილებათა შედეგებს სრულიად რუსეთის საზომით.

ისინი ვერ ამჩნევენ, რომ ამით სიგნალს აძლევენ დანარჩენ ეროვნებათ, თვისივე ნებით მოაწყონ ეროვნული ცხოვრება, რასაც შედეგად ერთის მხრით გაცხარებული ბრძოლა მოჰყვებოდა ეროვნებათა შორის, მეორეს მხრით ცენტრალისტურ ძალთა გაძლიერება; ამათ კი რევოლუციის დაშლა და დიქტატორი, როგორც თაიგული... იმისდა მიუხედავად, თუ როგორი ჩოჩქოლი და ხმაურობა ასტეხა რადამ, ჩვენა გვგონია, რომ უკრაინელებს იმდენად ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავი, რომ ვერ გაიგონ, რომ მხოლოდ მთელი რუსეთის დემოკრატიასთან შეთანხმებით შეიძლება შეუმზადდეს, რეალური ნიადაგი უკრაინის ავტონომიას.

ამიტომ აუცილებელია დროებითი მთავრობისათვის, რომ მან თვისი ერთი წევრთაგანი გაგზავნოს ადგილობრივი პირობების და მდგომარეობის შესწავლისათვის და ისეთი პრაქტიკული პროგრამის შემუშავებისათვის, რომელიც ნაკარნახევი იქნება უკრაინელთა კანონიურ ინტერესების მიერ.

ჩვენ მხედველობაში ჯერჯერობით სკოლისა და ენის კითხვები გვაქვს. მთავრობა უნდა მიეგებოს იმ აზრს, რომ ადგილობრივ ყრილობებისა და თათბირების საშვალებით შემუშავებულ იქნეს გარკვეული გეგმა უკრაინის მომავალ წყობილებისა, რომელიც, რასაკვირველია, დამფუძნებელმა კრებამ უნდა განიხილოს და არა მხოლოდ დაამტკიცოს.

დროებითი მთავრობას მართებს უკრაინელთაგან შექმნან მდგომარეობიდან მთელი რუსეთისთვის პრაქტიკული დასკვნა გააკეთოს.

საჭიროა მთავრობის დეკლარაცია ეროვნული კითხვის შესახებ. საჭიროა მთელი რიგი ზომებისა და წინასწარი მოქმედებისა ადგილობრივად ეროვნულ დამოკიდებულებათა ახალ წყობილების შესამზადებლად.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება გარდავაქციოთ ეროვნული მისწრაფებანი რევოლუციის განმტკიცების და არა დარღვევის ფაქტორებად.''

## რევოლუცია ამბები

(პ. დ. ს.)

### დეპეშები

მღელვარება პურზე საბარათო სისტემის შემოღების გამო.

**როსტოვი.** 17 ივნისი. პურზე საბარათო სისტემის შემოღებამ ხალხში მღელვარება გამოიწვია. მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიონ ამის გამო.

პოლკის გაგზავნა ფრონტზე.

**ოდესა.** 16 ივნისი. (დაგვიანებული). თანახმად სამხედრო მინისტრის კერენსკის ბრძანებისა, რომ ერთ-ერთი ადგილობრივი პოლკი გაეგზავნათ ფრონტზე, ჰყარეს კენჭი, თუ რომელი პოლკი წასულიყო ფრონტზე. ფრონტზე წასვლა შეხვდა ერთ-ერთ პოლკთაგანს. ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცები დატოვებულ იქნენ. პოლკის მთელი შემადგენლობით ფრონტზე წასვლა შეუძლებლად სცნეს. შემდეგ შეერთებულმა პოლკებისა და როტების წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა, მინისტრის ბრძანება უსიტყვოდ შესრულებულ უნდა იქნასო. პოლკი ამ დღეებში გაემგზავრება ბრძოლის ველზე.

ექიმი მოლჩანოვის მოკვლა.

**თბილისი.** 18 ივნისი. ახალციხის აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს ამიერ კავკასიის კომიტეტს, რომ აბასთუმანში მიმავალი ექიმი მოლჩანოვი დაავაკავეთ, რომელმაც დაჭრა ჯარისკაცი, რომლის დაჭრის მიზანი გამოურკვეველიაო. მოლჩანოვი სატუსაღოში მოათავსეთ. ტუსაღებმა მოაწყვეს თვით გასამართლება და მოკლეს ექიმი მოლჩანოვი.

პოლკის გამგზავრება ფრონტზე.

**იმფეროპოლი.** 13 ივნისი. (დაგვიანებულია) მთელის შემადგენლობით გაემგზავრა ფრონტზე სიბირის პოლკი. რამოდენიმე როტა დეპეშის საშუალებით სთხოვს მინისტრ კერენსკის ფრონტზე გაგზავნის შესახებ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომა.

**პეტროგრადი.** 17 ივნისი. სალამოთი სხდომა გაიხსნა წერეთლის რიგს გარეშე განცხადებით. წერეთელი გამოდის, როგორც მთავრობის წარმომადგენელი და როგორც წევრი ყრილობისა ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ ფინეთში. წერეთელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო რუსეთის ფულის ფინურ ვალიუტზე გაცვლის საშუალებას მოკლებულია. სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნილება ფეინურ ვალიუტისა ფრიად დიდია. საჭიროა ჯამაგირები ვაძლიოთ ფინეთში მყოფს რუს მოხელეებს. საჭიროა უზრუნველვყოთ ვალიუტით რუსის მოქალაქენი ფინეთში. საჭიროა სხვადასხვა და კეთილ საგნების ხარჯის გასტუმრება, რომლის ერთად ერთს საშუალებასაც წარმოადგენს ფინური ვალიუტა. წლის დამლევამდის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ხაზინას ჰქონდეს 700 მილიონი მარკა. დროებითმა მთავრობამ მიმართა ფინეთის სეიმს თხოვნით სექტემბრის დამლევამდის ესესხებინა 350 მილ. მარკა. სეიმს წინადადებაზე უარი არ უთქვამს. ფინეთის სენატი სთხოვს სეიმს სესხის კითხვა ახლო მომავალში იქნეს განხილული.

სესხის კითხვის გადაჭრამდის სენატმა 50 მილიონი მარკა გადმოგვცა ავანსად, მაგრამ ეს ფული უკვე დაიხარჯა. და თუ სეიმმა მალე არ გადასჭრა სესხის კითხვა, ჩვენ მოგვიხდება შევაჩეროთ ვალების გადახდა. ამიტომ წერეთელს საჭიროდ მიაჩნია, რომ რუსეთის დემოკრატიამ ძმური თხოვნით მიმართოს ფინეთის სოციალისტებს, რომლის უმრავლესობისაგანაც არის შემდგარი სეიმი, დააჩქარონ ამ საქმის გადაჭრა. წერეთელი დარწმუნებულია, რომ ასეთს მოლაპარაკებას შეუძლია დიაჩქაროს სესხის კითხვის გადაწყვეტის საქმე. ამის გამო წერეთელი წინადადებას იძლევა ყრილობაზე აირჩიონ რამოდენიმე რწმუნებული, რომელთაც დაევალებათ მოლაპარაკება გამართონ ფინეთის სოციალისტებთან სესხის შესახებ. პრეზიდიუმის წინადადებით ყრილობამ აირჩია, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან ავქსენტიევი და გეგეჭკორი. შემდეგ ყრილობა შეუდგა ცენტრალ კომიტეტის არჩევას.

დროებითი მთავრობის მიმართვა უკრაინელებს.

**პეტროგრადი.** თიბათვის 16. (დაგვიანებულია). მოქალაქე უკრაინელნო! სრულიად რუსეთის სახელით დროებითი მთავრობა მოგმართავთ თქვენ: რუსეთი დიდი ტანჯვით მიისწრაფვის თავისუფლების განსამტკიცებლად, რათა ყველა ერს კეთილდღეობა და ნაციონალური უფლებანი მიენიჭოს. რევოლუცია საფრთხეშია. თუ გარეშე მტერი დაამხობს რუსეთს ან და თავისუფლების მტერი იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას, მაშინ ხომ სრულიად რუსეთის მოსახლე ერთა საქმენი უფსკრულისკენ წარიმართებიან. ყველა მოსალოდნელ საფრთხეთა აცილება და დამფუძნებელ კრების მოწვევა, სადაც რუსეთის ყველა ერი თავის სურვილებს საჯაროდ განაცხადებს— აი მიზანი რომელსაც ისახავს მთავრობა, როგორც რევოლუციონურ უფლებებით დროებით აღჭურვილი. ესევე უნდა იყოს თქვენი მიზანი მოქალაქე უკრაინელნო! განა თქვენ თავისუფალ რუსეთის ას წილს არ შეადგენთ? განა უკრაინის ბედი მჭიდროდ არ არის დაკავშირებული თავისუფალ რუსეთის თავისუფალ ბედზე?

ვის შეუძლიან ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ რუსეთი მის ყველა ერთა უფლებებს არ დააკმაყოფილებს? სხვადასხვა წარმომადგენლები ხომ ეცდებიან, რომ დამფუძნებელ კრებაზე სახელმწიფო მეურნეობისა და მოწყობის ისეთი წესები შეიმუშაონ, რომელნიც სრულიად დააკმაყოფილებენ მათ ერთა ნაციონალურ ლტოლვილებებს? დროებით მთავრობა უკვე შეუდგა ხალხის ცხოვრებაში კულტურულ თვითგამორკვევის უფლებათა გატარებას. იგი გრძნობს რა უკრაინელებისადმი თავის მოვალეობას, სცდილობს ყველა იმ ტანჯვა-მწარობის კვალი წარხოცოს, რომლის სიმძიმესაც აქამდის მეტად გრძნობდნენ უკრაინელები. დროებითი მთავრობა თავის მოვალეობად [illegible] უკრაინის [illegible] რომ [illegible] შეთანხმებით, რომელნიც [illegible] უკრაინელ[illegible] აუცილებელი იქნება, რომ უზრუნველყოფილ იქმნენ უკრაინელთა უფლებანი, როგორც ადგილობრივ მმართველობაში, ისე თვითმართველობაში, სკოლაში და სასამართლოში, — ისეთ საშუალებებს, რომელნიც უკრაინის თავისუფალ მოწყობისათვის ამზადებენ, რასაც უკრაინის დამფუძნებელი კრება მიანიჭებს. მაგრამ სახელმწიფო ორგანიზმის სრულად გარდაქმნა და სრულიად რუსეთის ჯარის წყობილების შეცვლა კი შეუძლებელია, მით უმეტეს ეხლა- როდესაც გარეშე მტრის წინააღმდეგ უფრო მედგარი ბრძოლა გვიხდება.

ძმანო უკრაინელნო! ნუ წახვალთ დაღუპვის გზით, საერთო სამშობლოს ზურგს ნუ შეაქცევთ, ამ საშინელ წუთების დროს თავს ნუ არებებთ საერთო ჯარს. ნუ შეიტანთ ხალხში საძმათაშორისო ბრძოლას მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ძალა სამშობლოს საკეთილდღეოდ მტრისკენ უნდა იქნეს მიმართული. თქვენის მოუთმენლობით, რომ ეხლავე განამტკიცოთ უკრაინის სახელმწიფო წყობილების ფორმები, სასიკვდილო მახვილს ნუ სცემთ სახელმწიფოს და თქვენს თავს. რუსეთის დაღუპვა — თქვენი დაღუპვაც იქნება. დაე, ყველა ერი თავისუფალ რუსეთისა მჭიდროდ შეკავშირდეს და შინაგან. გარეშე მტრის დამარცხების სურვილით განიმსჭვალოს.

დაე ყველა ძირითად საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებას მიანდოს ყველა ერმა, სადაც ყველა თავიანთ ბედ-იღბალს თვითვე გადასწყვეტს.

## შ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

მონარქიის აღდგენა ჩინეთში.

**პეკინი.** ივნისის 18. ჩჟანსიუსების ინიციატივით აღდგენილ იქნა მონარქია ჩჟანსიუსები ინიშნება სახელმწიფოს საპასუხისმგებლო მოთათბირედ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა სიუიბიჩჟანი.

კრეისერ კლებერის დაღუპვა.

**პარიზი.** ივნისის 16. კრეისერი კლაბერი ბრესტიდან დაბრუნებისას წააწყდა ნაღმს და დაიღუპა. დაიღუპა 36 კაცი, მათ რიცხვში 3 ოფიცერი.

ერთი წლით ადრე გამოშვება ოფიცრებისა საზღვაო აკადემიიდან.

**ლონდონი.** ივნისის 16 ნიუიორკიდან იტყობინებიან, რომ საზღვაო აკადემიიდან გამოუშვეს 200 ოფიცერი ერთი წლით ადრე, რათა უზრუნველჰყონ ფლოტი. რომელიც საჭიროებს ოფიცერთა დიდს შემადგენლობას.

ორმილიონიანი სამხედრო სესხი.

**ლონდონი.** ივნისის 16. როგორც ნიუიორკიდან იუწყებიან, კონგრესმა დაადგინა გამოუშვან ორმილიონიანი სამხედრო სესხი.

## მსოფლიო ომი.

ბ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

დასავლეთის ასპარეზზე.

**პარიზი.** ივნისის 17. ოფიციალური. სერნის აღმოსავლეთით გერმანელები გასულ ღამით შეტევა მოეხდინათ ჩვენს წინააღმდეგ. ამ მიზნით მათ ლაგოვილზე ორჯერ იერიში მოიტანეს. იერიშების მოტანის დროს სარგებლობდენ ცეცხლის გამჩენ სითხით. ცხარე ბრძოლის შემდეგ მათ შესძლეს გამაგრებულიყვნენ ერთ ადგილზე. თხრილები დავანგრიეთ. მთელს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა. ოვარკურისა და მარტომის მიდამოებში 304 მაღლობთან კონტრიერიშები მივიტანეთ მტერზე. დავიბრუნეთ ჩვენი თხრილის ნაწილი, წამოვიყვანეთ ტყვე გერ-

მანელები. მარტომის დასავლეთით გერმანელებმა შეტაკება მოახდინეს. ჩვენმა ჯარისკაცებმა გერმანელები შეაჩერეს, რომელთაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ჩვენმა ცეცხლმა მტერი გაანადგურა, თუმცა მათ შესძლეს ჩვენი თხრილების პირველ ხაზში შემოჭრილიყვნენ. ჩვენ კონტრიერიშების შემწეობით მტერს უკან დავახევინეთ. წამოვიყვანეთ ოთხი სხვადასხვა პოლკების 80 ტყვე ჯარისკაცი. შიმპანში მაკარენის ფერმის დასავლეთით მტრის მოულოდნელ თავდასხმას ნაყოფი არ გამოუღია.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 20. ოფიციალი. ზოლიჩევსკის მიმართულებით ჩვენი შეტევები წარმატებით გრძელდებოდა. ივნისის 19 დაახლოებით საათის სამზე გაცხოველებულ ბრძოლის შემდეგ ზაოისკის პოლკმა დაიკავა სოფელი პრესოვეე. ფინეთის მეოთხე დივიზიის ჯარმა ჩეშოკლავატის ბრიგადამ დაიკავეს მტრის ძლიერად გამაგრებული პოზიციები. სოფ. ზებიროვის ამხრეთ-დასავლეთის მაღლობზე და სოფ. კორშილევის სიმაგრენი. გავარღვიეთ მოწინააღმდეგეთა თხრილების სამივე ხაზები. მტერი ვაიძულეთ გადასულიყო მდ. პატარა სტრიპაზე. წამოვიყვანეთ 1560 ტყვე. წამოვიღეთ თხრილების მასალა, 9 ტყვიის მფრქვეველი, ერთი ყუმბარების მტყორცნელი. ჩეშოკლავატის ბრიგადამ წამოიყვანა 62 ტყვე ოფიცერი, 3150 ტყვე ჯარისკაცი, წამოიღო 15 სამხედრო იარაღი და მრავალი ტყვიის მფრქვეველი. ავიღეთ აგრეთვე მტრის სიმაგრეები. იუზეფივკის დასავლეთით ბრძოლის დროს ივნისის 19 წამოვიყვანეთ სულ 6300 ტყვე: წამოვიღეთ 21 სამხედრო იარაღი, 16 ტყვიისმფრქვეველი, რამდენიმე ყუმბარების მტყორცნელი. ივნისის 18 წამოვიყვანეთ ტყვეთ 53 ოფიცერი და 2200 ჯარისკაცი. ფრონტის დანარჩენ ადგილებში სროლაა.

რუმინეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 20. ოფიციალი. ჩვეულებრივი სროლაა.

ბელგეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 20. ოფიციალი. სროლაა.

## ახალი ამბავი

✦ ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა კრება. 25 ივნისს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გაიმართება ეროვნულ დემოკრ. პარტიის წევრთა კრება. კრების პროგრამა შემდეგია. მოხსენება საქართველოს ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციის შესახებ და საუბარი საპროგრამო კითხვების შესახებ.

✦ **ორშაბათს, 26 ივნისს** ქალაქის თეატრში გაიმართება ერეკლე მეორეს გასამართლება. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები, როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან მოწვეულნი. ბილეთების ყიდვა დაიწყება თეატრის კასაში დღეს საღამოს 5 საათზე.

✦ **იბეჭდება** და მალე გამოვა ტიტე მარგველაშვილის წიგნი „საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის".

✦ **ვოსტორგოვი.** რუს. უწმ. სინოდმა სამსახურიდან დაითხოვა ცნობილი რუსიფიკატორი ვოსტორგოვი.

— **სამედიცინო კომისარიატი.** ქუთ. გუბერნ. ფერშლებმა, და ბებია ქალებმა თავის კრებაზე დაადგინეს, ქუთაისში დაარსდეს ცალკე კომისარიატი, რომელშიც შევლენ: ორი ექიმი, ერთი ფერშალი, ერთი ფარმაცევტი და ერთიც ბებია ქალი.

✦ ცნობა ჯარიდან. გთხოვთ მოათავსოთ ეს ცნობა მშობლებისა და ნათესავების საყურადღებოთ. 6 ივნისს გალიციის ბრძოლის ასპარეზზე შემთხვევით წავაწყდი სასაფლაოს, რომელსაც აწერია: „ალექსანდრე ნეველის პოლკის 1 როტის უნტერ-ოფიცერ, ხარლამპი ფილიპეს ძე კალანდაძე, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფ. ხიდისთავის მცხოვრები, მოკლული მტერთან ბრძოლაში, რიცხვი და თვე არ არის ნაჩვენები.

პორუჩიკი ვ. გაბუნია.

✦ პურის ფასი. 20, 21 და 22 ივნისს ქუთაისში 70—77 მან. ავილა, სამტრედიაში 70—80 მან. ჩოხატაურში 80 მან. და ხონში 75—78 მანეთამდე.

✦ **ექიმ ტერტეროვის** გადაყენება. ქუთ. საგუბერნიო ექიმი ტერტეროვი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან. მას პასუხის გებაში აძლევენ.

# საქ. ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა საგულისხმოთ

კვირას, 25 ივნისს დილის 10 საათზე ქუთ. რეალურ სასწავლებელის შენობის დარბაზში მოხდება ეროვნულ დემოკრატიულ

## პარტიის წევრთა კრება.

კრების პროგრამა შემდეგია: მოხსენება საქართ. ეროვნ. დემ. პარტიის კონფერენციის შესახებ და რამოდენიმე საუბარი საპროგრამო კითხვებზე.

✦ ქურდების აღმოჩენა. წყლის გაღმა უბნის კომისარმა გრ. ხაინდრავამ აღმოაჩინა ქურდების ბრბო ნაპარავ საქონლით, ჭავჭავაძის ქუჩაზე დაიჭირეს ციმბირიდან დაბრუნებული ნაკაჩალარი ივ. კვარაცხელია რომელსაც მრავალი ნაქურდალი უპოვეს.

✦ დაჯარიმება. სანიტარულ წესების დარღვევისათვის მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე სანავა დაჯარიმებულ იქმნა 5 მან., ორპირის ქუჩის მეფურნე ოსიფოვი 20 მან. და კარანაძე 10 მან.

— ქართველები პროვოკატორები. გაზ. „რუსკ. ვედ" ცნობით ოდესის „ოხრანკი"-ს თანამშრომელთა შორის არიან გაზ. „იუჟნი კრაი"-ს თანამშრომელი პოეტი გრ. კონ. ცაგარელი (ცაგარეიშვილი), რომელმაც ფუტურისტული კრებული გამოსცა. იგი აბეზღებდა ქართველთა სათვისტომოს თვეში იღებდა 30 მანეთს, შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ოფიცრის ჩინი მიიღო.

2. ალექსანდრე ჯუაშვილი, მას გათავებული აქვს იურიდიული ფაკულტეტი და 3. ივანე კარბელაშვილი, ესენიც ორივენი ქართულ სათვისტომოებს აბეზღებდნენ.

✦ აღწერა. 1 ივლისიდან ქუთ. გუბერნიაში დაიწყება მამულებისა და სასოფლო სამეურნეო აღწერა. ყოველ ნაწილში დანიშნულია თითო ინსტრუქტორი და ხუთ ხუთი რეგისტრატორი.

✦ ქალაქის არჩევნების გარშემო. უკანასკნელ სხდომაზე აღმ. კომიტეტის საარჩევნო კომისიამ დაადგინა ყოველ 1000 კაცზე თითო ყუთი იქნეს დადგმული.

✦ დაჭერა. მაზრის კომისარი ბერძული იტყობინება, რომ სოფ. პატრიკეთში დაატუსაღეს ღვინით მოვაჭრენი ირ. ბოდოკია და ის. ქართველიშვილი, რომლებმაც მთავრობის განკარგულება დაარღვიეს და ღვინოს ყიდნენ.

### თფილისი.

— სამზადისი დამფუძნებელ კრებისათვის. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოისმინა ნოე რამიშვილის წინადადება შესახებ იმისა, თუ როგორი სამზადისია საჭირო რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის და საჭიროდ სცნო: 1) სწრაფად შეუდგნენ ეხლავე საარჩევნო სამზადისს; 2) საარჩევნო ოლქად ამიერ კავკასიაში აღიარებულ უნდა იქმნას გუბერნია; 3) ამიერ კავკასია არჩევნების მხრივ გამოყოფილი უნდა იქმნას რუსეთის საარჩევნო კომპანიიდან და აქაური არჩევნები თითოეულ გუბერნიაში თავისს საკუთარ კომისიას უნდა ექვემდებარებოდეს, ხოლო ამ კომისიებისაგან უნდა შესდგეს საოლქო კომისია, რომელიც იქონიებს საჭირო დამოკიდებულებას რუსეთის საერთო საარჩევნო კომისიასთან; 4) ეხლავე მოწვეულ უნდა იქმნას საბჭო. საარჩევნო კომპანიის მოსამზადებლად და საოლქო-საარჩევნო ორგანოს დასაარსებლად. აღნიშნულ საბჭოში უნდა მოვიდნენ წარმომადგენლები სხვადასხვა მოქმედ ორგანიზაციებისა.

— ქართველი გრენადერები ავტონომიას მოითხოვენ. გაზ. „საქართველოს" რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკასიის გრენადერთა მეოთხე დივიზიის ქართველი ჯარისკაცნი და ოფიცრები 1917 წლის თიბათვის 18 შევიკრიბენით და დავადგინეთ შეუერთოთ ჩვენი ხმები საქართველოს დემოკრატიულ ტერიტორიალურ ავტონომიისთვის მებრძოლთ. ამოვირჩიეთ კომიტეტი. თავმჯდომარე ექ. ვეფხვაძე, მდივანი პატარიძე.

## ეროვნული კითხვა.

სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარის-კაცთა ყრილობის ეროვნულ სექციაში ეროვნულ კითხვის შესახებ მოხსენება წარადგინა აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა ვოიტინსკიმ. აღმასრულებელ კომიტეტის აზრით ეროვნულ კითხვის გადაჭრა დამფუძნებელ კრებამდე არ შეიძლება. ამიტომ ვოიტინსკის შემოაქვს წინადადებად მხოლოდ ფორმები და მოტივები გადაწყვეტისა და არა პროგრამა. ეროვნულ კითხვის გადაჭრისათვის ერთს ეტაპსა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა-ამბობს იგი. რევოლუცია გამარჯვებულია, თუ ის ამ ეტაპამდე მივიყვანეთ. ეს ეტაპია დამფუძნებელი კრება. ამ ეტაპის შემდეგ ეროვნული კითხვა სავსებით გადაიჭრება. ეროვნულ კითხვაში მხოლოდ ზოგადი პრინციპები უნდა წამოვაყენოთ. დეტალებში კი დიდი სიფრთხილე ჰმართებს. ძირითად პრინციპად ვოიტინსკის მიაჩნია ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლება უფართოესის მასშტაბით... საჭიროა ვიხელმძღვანელოთ რევოლუციის ძალთა მთლიანობის პრინციპით. ყოვლის უწინარეს უნდა მოვსპოთ ძველი წყობილების ნაშთები, რომელმაც ეროვნული შევიწროებანი წარმოშვა.

## უნივერსიტეტებში მიღება

სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი წესები სტუდენტებად უნივერსიტეტებში ჩარიცხვისა მიმდინარე 1917—1918 სამოსწავლო წლისათვის. თანახმად ამ წესებისა უნივერსიტეტებში მიიღებიან ორთავე სქესის წარმომადგენლნი განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თუ მათი ატესტატები ან სხვა სიმწიფის მოწმობა ეთანაბრება ვაჟთა გიმნაზიის ატესტატს. სხვათაშორის იმ პირთაც მიიღებენ რომელთაც ან სრულიად დასრულებული აქვთ მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიები, ან და 4 კლასის მოწმობას წარადგენენ ამავე სემინარიის მიღებულ იქნებიან აგრეთვე ის პირნიც, რომელთაც მოეპოებათ ალექსანდრეს ლიცეისა ან უფლებათა მეცნიერების (училищѣ правовѣдѣнія) 4 კლასის გათავების მოწმობა. ის პირნი, რომელთაც საკომერციო სასწავლებლის კურსი აქვთ დასრულებული და ჩამოთვლილნი არიან 4 ნოემბრის 1915 წლის, 3 მარტის 1916 წლის და 10 აპრილის 1916 წლის ცირკულიარებში, მიღებულ იქნებიან უნივერსიტეტებში ძველ დებულებათა მიხედვით.

ორივე სქესის სტუდენტები ჩარიცხულ იქნებიან დაწესებულ კომპლექტების ფარგლებში; წესს მიღებისას ადგენს უნივერსიტეტის გამგეობა.

24 ივნისს 1917 წლის შემზღუდავ ცირკულიარს რომელიც რომელიმე სამოსწავლო ოლქის მოწაფეთ არ აძლევდა უფლებას არჩეულ უნივერსიტეტში შესვლისას, ეკარგება მნიშვნელობა.

მიღების თხოვნები პირდაპირ უმაღლეს სასწავლებელში უნდა იქნეს გაგზავნილი ხოლო სამინისტროში გაგზავნილი შუამდგომლობანი უყურადღებოთ იქნება დატოვებული. არც ის შუამდგომლობა იქნება განხილული, რომელიც ეკუთვნის პირებს, საშუალო სასწავლებლები რომ არ დაუმთავრებიათ ასეთები არიან; კბილის ექიმები, პროვიზორები, ფელდშერები და სხვა.

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

## დამფუძნებელ ყრილობის დადგენილებანი

ა. საქართველოს ავტონომია

საქართველოს, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ მოისმინა გიორგი გვაზავას მოხსენება საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის შესახებ და დაადგინა:

ა) ვინაიდან რუსეთის დიდმა რევოლუციამ და საერთაშორისო განწყობილებამ წამოაყენა ლოზუნგი ერთა განთავისუფლებისა.

ბ) ვინაიდან ქართველ ერს უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უწევია თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება,

გ) ვინაიდან საქართველო დაკავშირებული არის რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატით.

ედ.-დემ. პარტია მოითხოვს:

1. უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია*) დემოკრატიულ რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული.

2. ავტონომიის კონსტიტუციას შეადგენს თბილისში შეკრებილი საქართველოს ეროვნული კრება.

3. საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრების არჩევაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულ-წლოვანი მოქალაქე განურჩევლათ სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი ფარულის და პროპორციული ხმის მიცემით.

4. საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ექვემდებარება საქართველოს საზღვრებში (ცხოვრების ყოველი საგანი, გარდა: ა) ომის და ზავის საკითხისა, ბ) საგარეო პოლიტიკისა და გ) რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთთან საერთო კანონმდებლობის კომპეტენციას შეადგენს.

შენიშვნა: ქართველი მოლაშქრენი (მილიცია) მშვიდობიანობის დროს სამსახურს საქართველოს საზღვრებში იხდიან.

ბ. საქართველოს ტერიტორია

საქ. ერ.-დემ. პარტიის ყრილობამ მოისმინა პავლე ინგოროყვას მოხსენება და დაადგინა: საქართველოს ტერიტორიას შეადგენს პროვინციები: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი, რომლებიც მრავალ საუკუნეთა სახელმწიფოებრივის, კულტურულის და ეკონომიურის ურთიერთობის შეკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს. ამ ტერიტორიის დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შეიცავს რუსეთის საქართველოში: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმისა და ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები და ჩამონაჭრები, მიწერილი არა-ქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: ჩრდილოეთი კუთხე აფხაზეთისა — მიწერილი სოჭის ოლქზე (გაგრის უბანი), მტკვრის განაპირა ნაწილი კახეთისა — მიწერილი განჯაზე (ჯერან-ჩულურის და ქვემო-ყარაიაზის ველები) და ქართლის სამხრეთი სანაპიროები — მიწერილი ერევანსა და ყარსზე (გამბაკი და აბოცი); ხოლო ოსმალეთის საქართველოში: კისკიმი, თორთუმი, ისპირი და ლაზისტანი.

გ). საქართველოს ფინანსები

საქ. ეროვ. დემოკრ. პარტიის ყრილობამ მოისმინა მოხსენება გაბრიელ ჟუჟუნაშვილისა. საქართველოს ფინანსებზე და დარწმუნებული რომ საქართველოს ავტონომიის დამყარება და არსებობა ფინანსების მხრივ უ[illegible] ყოფილია, გადადის მორიგ საკითხზე.

დ) მიწის საკითხი.

საქ. ერ. დემოკ. პარტიის ყრილობამ მოისმინა ალექსანდრე ასათიანის მოხსენება. და დაადგინა: საქართველოს ავტონომიურ მმართველობამ უმამულო და მცირემამულიან მკვიდრ [illegible] უნდა [illegible] მოუნახოს [illegible] მიწის [illegible] საშუალება. ამისთვის:

1. ყოფილ სახაზინო გლეხების ყველა ის მიწები (სახლ-კარი,) ვენახები, სახნავ-სათესი, ტყე, საძოვარი, მთა და სხვა) როგორც საკომლო, ისე საზიარო — სათემო, რომელიც მათ მფლობელობაში იყო და არის, აღიარებულ იქმნას სრულ მათს საკუთრებათ და მოისპოს ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული (სახელიწიფოსაიჯარო) გადასახადები.

შენიშვნა 1. ამავე წესით სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც რუსეთის ძველმა მთავრობამ სახაზინოდ ჩარიცხა, აღიარებეულ იქმნას ამ მკვიდრთა სრულ საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადები.

შენიშვნა 2. აფხაზეთისა და ზაქათალის მიწის საკითხი უნდა გადასწყდეს თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა.

2. ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა ყველა ის მიწები რომელნიც მათი საკუთვნოა, (სანადელო მფლობელობა) აღიარებულ იქმნას სრულს მათ საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე გამოსასყიდი და ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადები.

3. ხიზნები, მოიჯარადრენი და მცირე მამულიანი მიწისმუშები და უბრკოლებლივ ჰფლობენ იმ მიწებს, რომელნიც მათ უჭირავთ, ეს მიწები თუ კიდევ ახალი მიწები ავტონომიის ფონდიდან მათ მიეზომებათ და დაუმტკიცდებათ სრულს საკუთრებად იმ ნორმით და წესით, რომელსაც საქართველოს ეროვნული კრება შეიმუშავებს.

4. ამას გარდა ყველა დანარჩენი: სახაზინო და საუფლისწულო მამულები გადაეცეს საქართველოს ავტონომიას.

5. საქართველოს ავტონომიასავე უნდა გადაეცეს ყოველგვარი სამთამადნო სიმდიდრენი და სამკურნალო წყლები.

შენიშვნა სამთამადნო სიმდიდრენი, წყლები და კერძოდ სამკურნალო წყლებიდა აგრეთვე ისეთი ტყე და მიწა-წყალი, რომელნიც სახელმწიფოეარივ საჭიროებას შეადგენენ, საქართველოს ხაზინის ხელში უნდა დარჩეს.

6. საქართველოს მმართველობამ იძულებით უნდა გამოისყიდოს საჭიროებისამებრ ხაზინის ხარჯით მემამულეებისაგან ნორმაზე მეტი მამულები, ხოლო ამ მიწების გამოსყიდვისა და მკვიდრ მიწის მუშის ხელში კერძო საკუთრებად გადაცემის წესი და ფასი უნდა შეიმუშაოს ადგილობრივ ხალხის მიერ არჩეულმა პირებმა, რომელთა დადგენილებას საბოლოოდ ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

შენიშვნა. იძულებით ჩამოსართმევ მამულებში არ შედის ბაღები, ვენახები, პლანტაციები და სხვა კულტურული და სამრეწველო მეურნეობით გაშენებული მიწები.

შემდეგი იქნება.

*) თვითკანონმდებლობა.

## ფერიცვალობის ჟამს...

მთის მწვერვალიდან ღამის ფერიცვალობის ჟამს დამინახავს ედემის ბაღი.

ფერიცვალობის ჟამს...

უცხო ვარდს-ზამბახები ფირინოზობდენ, ნაზი რხევით ფრთებს შლიდენ და დამათრობელ სურნელებას საყვარელ ჰაეებს უძლვნიდენ.

გიჟი მდინარენი ჰაეების სიმღერით მედიდურობდენ და განთიადის ხმა ტკბილ მგალობელთ თეთრი ღამის სხივ მოსილებით ბანს გასძახოდენ...

იასამანთა მტევნები კოლხეთის ნაზ ასულთა გულმკერდივით დარაზმულიყო და დღის მბრძანებელ მნათობს ელოდებოდა რომ მის ოქროს ისრებში ანდამატობა დაეწყო.

პონტიის ზღვიდან მონაბერი სიო ზღვის ფერიის და მეზღვაურის სიყვარულის ლეგენდას ამბობდა...

იხიბლებოდა ედემის ბაღი...

ვერხვის ხეები ტკბილი ლეგენდის სმენით ნარნ ტოტებს ცისარტყელის მოსატკეცლად ცის ტატნობს ახეთქებდა,

რომ ტანი შვიდ ფეროვნებით დაემშვენებია.

გმირთა ძვლები წამომდგარიყვნენ და კოლხეთის ძეთ ლექსთა თქმით მოუწოდებდნენ, რომ ეხილათ მშვენიერება ედემის ბაღის ფერიცვლობის ჟამს.

ყველას ეძინა...

ივერიის და კოლხეთის ძენი არსათ არ სჩანდნენ.

გმირთა ლანდები ცრემლათ დნებოდნენ.

მოქანცულობით გაქრენ ლანდები...

პონტოის ზღვიდან მონაბერმა სიომ შესწყვიტა სიყვარულის ლეგენდა და ედემის ბაღ ნარს მკერდში ჩაეკრა.

აღმოსავლეთის ცხრა თვალა მდევმა ცის კაბადონს სტყორცნა ცეცხლის თვალები და ძლიერი ჰიპნოზმით ფერი უცვალა.

ბუნება ზეიმს უხდიდა სამოთხის მხარეს...

ვსდგევარ მთის მწვერვალოზე და ფრთებ გამოსხმული ვსტკბები ედემის კუთხის სიკეკლუცით.

მარტო ვარ...

ტკბილი ხმა ისმის.

კვლავ ამეტყველდა დასავლეთიდან მონაბერი სიო.

სმენად ვიქეცი.

-- გმირნო ივერნო, კოლხეთის ძენო, აღსდექით, კმარა: აქ ამ მწვერვალზე შეჯგუფდით ერთად და ინეტარეთ ფერიცვალობის ჟამს თქვენის დიდებით...

ობოლი სიოს გამოძახილი შეისუნთქა ჯადოსნურ მხარემ.

მე კი გავკივი:

-- გმირნო ივერნო, კოლხეთის ძენო, აღსდეგით, კმარა; აქ ამ მწვერვალზე შეჯგუფდით ერთად და ვინეტაროთ ფერიცვალობის ჟამს ჩვენის დიდებით...

ფერიცვალობის ჟამს..

**ნიკ. ასათიანი.**

12 ივნისი 1917 წ.

## ერთი თხისკენ— მეორე მგლისკენ.

ამ ომისაგან გამოწვეულმა, ყურით გაუგონელმა და თვალით უნახავმა სიძვირემ, ყოველი დარგის მოხელე და ყოველი წოდების ადამიანი შეაძრუწუნა და საგონებელში ჩააგდო. კაცმა არ იცის, თავს როგორ უშველოს და სამშვიდობოზე როგორ მიაღწიოს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანს ყველაზე მეტათ სასოებას უკარგავს, რომ მსოფლიო ცეცხლის ალი თანდათან იზრდება და მთლად კაცობრიობის შთასანთქავათ ემზადება. მოვლენილ უბედურებას და მისგან წარმოშობილ სიძვირეს ადამიანი, ასეა, თუ ისე, კიდევ გაუძლებდა, რომ ერთმანეთს შორის სიყვარული და შეკავშირებული მოქმედება იყოს.

ასეთმა დანაწილებამ ერთი ერთმანეთი შეაძულა და დამწვარზე მდუღარე დაასხმევინა. ქართველ ხალხს ამ ჟამად ყველაზე უფრო სამღვდელოება ჰყავს ათვალწუნებული. თავის სიმძულვარეს ქართველი ხალხი გამოხატავს, რომ სამღვდელოებისადმი აღარაფრის მიცემა აღარ სურს.

მაინც ბევრი აქვს იმას (მღვდელს) ფული და რაღა ჩემი მიცემა ეჭირვებაო, ასე გაიძახის დღეს ქართველი კაცი. ნივთიერმა მიცემა-დახმარებამ თქვენი ჭირი წაიღოს, რომ ზნეობრივად მაინც ამხნევებდეს დღეს ქართველი თავის მოძღვარს, რასაჭიროა მღვდელი, მუქთა-ხორები არიანო, სულაც გადავლენილან ქვეყნის ზურგიდან ეგ ასეთები და ისეთებიო. ჰ ამ ორ ნაირ დასჯას რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის. არც არა ფერს გაძლევენ და თანაც გაგრნებენ და გლანძღავენ. ამისთანა ცხოვრების ატანას გმირობა უნდა, სამღვდელოება ყოველ ამ გვარ დამცირებას და დევნა-წვალებას ითმენს და იმას ჯერდება, რასაც მას მორწმუნენი აძლევენ, მაგრამ მოთმინებასაც ხომ საზღვარი აქვს. თავის თავს გარდა მღვდელს ცოლშვილი ჰყავს და მათ პატრონობა უნდა

გლეხი თუ დღეს ძვირად ყიდულობს საჭირო ნივთს, სამაგიეროდ თავის ნაწარმოებსაც ძვირად ყიდის და ბარდაბარ გამოდის და მღვდელმა რა ჰქნას, რა გაყიდოს ძვირად, ნათვლა თუ ზიარება?! ყველა მღვდელი ხომ თავის სოფელში არ მსახურობს და ამასთანავე ყველას ხომ ადგილ-მამული არა აქვს, რომ თავის ხელით დაირჩინოს თავი, მეტყვით ჯამაგირი აქვსო. მღვდლის ეხლანდელი ჯამაგირი, და ისიც არა ყველასი, მხოლოდ ოცი მანეთი და ათი შაური და ეს ფული ჯამაგირად ჩაითვლება?! არა, ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენ რომ ვსთქვათ ყველაზე უფრო ამ ომიანობისაგან ნივთიერად ქართველი სამღვდელოებაა დატანჯული და მას ნივთიერ დახმარებას თუ არ აღმოუჩენს ქართველი საზოგადოება ზნეობრივ დახმარებაზე მაინც რას ერჩის? კაი სიტყვაც ძვირად ღირს, გახსოვდესთ, ქართველებო. ამ ჩემი პატარა წერილით მე ზნეობრივ დახმარებას ვსთხოვ ქართველობას, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ ღირსეულად შეასრულოს ის დიდი საქმე, რომელსაც საქართველოს ეკ. ავტოკეფალობა ჰქვიან და რომელიც არის შეურყეველი საძირკველი ჩვენი მომავალი ავტონომიური ცხოვრებისა.

**მ. ბუაჩიძე.**

## არჩილ მიქაბერიძე და იმისი ახირებული მოღვაწეობა.

(პასუხათ)

მეტად ვწუხვარ, რომ, ერთი წლის შემდეგ ერთსა და იმავე საგანზე კიდევ არჩილ მიქაბერიძესთან მიხდება ლაპარაკი, ისეთ ადამიანთან, რომელთანაც ყოველივე ლაპარაკი და მსჯელობა წყლის ნაყვად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმდენად. ახირებული ხასიათისაა, რომ თავისი თავის გარდა არავის ენდობა და გარშემო ყველგან უზნეურობს, გამცემლობს და ქურდებს ხედავს; რა გაეწყობა ესეც ერთგვარი ავათმყოფობაა.., რომ არ მოვაბეზრო თავი რედაქციას და მკითხველ საზოგადოებას არ შევეხები დაწვრილებით ყოველივე იმ აბდა-უბდას, რაც მას უკადრებია თავის წერილში, რომელშიაც მიზნად დაუსახავს თავისი თავის რეკლამა და ქება, ვაჟა-ფშაველას სახელობის სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტის დღევანდელ ყველა წევრთა-კი გალანძღვა, და სამკითხველოს სახელის გატეხა პროვოკატიური წერილის საშუალებით, („ჩვ. ქვეყ.“ 50—51) ვიტყვი მხოლოდ ორიოდე სიტყვას იმისი ახირებული მოღვაწეობის შესახებ: მიქაბერიძე, როგორც მეტის მეტად ახირებული, შეუგუებელი და დაწვრილმანებული პიროვნება სამზრუნველო კომიტეტში ვერავის ვერ მოეწყო, ყველასთან უკმაყოფილება ჰქონდა, რომელიც გამოწვეული იყო იმისი ჯიუტობით; ყოველი სხდომა იმისი წყალობით უსათუოდ დავა-ჩხუბით უნდა დამთავრებულიყო; ასე გაგრძელდა მთელ წელიწადს. ბოლოს სამზრუნველო კომიტეტის ათ წევრთა წინადადებით, იძულებული შევიქენი მე, როგორც სამკითხველოს პასუხის მგებელი გამგე, სხდომა მომეხდინა ახალი თავმჯდომარის ასარჩევად, მანემდის კი კომიტეტმა იხმარა კიდევ ერთი კულტურული საშუალება და 1916 წ. „სამშობლოს“ 409 ნუმერში მიმართა მიქაბერიძეს ღია წერილით, რომლითაც წინადადება მისცა მას, თავმჯდომარეობისათვის თავი დაენებებია და სხვისთვის გადაეცა თავისი მოვალეობა, რათა ბოლო მოღებოდა ყოველ გვარ უსიამვნებას. მიქაბერიძემ „მეგობრის“ 119 ნუმერში ასე უპასუხა კომიტეტს: „თქვენი წინადადებანი არც ერთი არ იქნება შესრულებულიო, თქვენ კი როგორც გინდათ ისე მოიქეცითო.“ მაშინ კომიტეტმა ჩემი თანადასწრებით 1916 წ. ივლისის 24 მოახდინა სხდომა და აირჩია ახალი თავმჯდომარე; ამ დადგენილების ოქმი დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოს“ 417 სა და “მეგობრის“ 120 ნუმრებში. ამ დადგენილების შემდეგ მიქაბერიძე უფრო გაჯიუტდა, აღარ მოეკარა კომიტეტის წევრთ, რადგან თავმჯდომარეობას ხელს არ უშვებდა. ამის გამო ადგილობრივ გაზეთებში ატყდა პოლემიკა, სულ დაიბეჭდა ათი წერილი „მეგობრისა და „სამშობლოს გასული წლის ნუმრებში და როდესაც რედაქციებმაც დაინახა მიქაბერიძის ჟინიანობა და ჯიუტობა, სამკითხველოს შესახებ კამათი მოსპო. (იხ. „სამშ.“ 409) გ. 124-1916 წ მიუხედავათ ამისა მიქაბერიძემ სამკითხველოს საბუთები და ანგარიშები არ გადასცა ახალ თავმჯდომარეს, სანამ წერა-კითხვის საზ. საბიბლიოთეკო სექცია არ ჩაერია, რომელმაც დიდის დავიდარაბის შემდეგ, როგორც იქნა შეუფერებელი და მოძალე თავმჯდომარე სამკითხველოს ჩამოაშორა და მას შემდეგ კომიტეტმა სამკითხველოც გახსნა, რომელიც დღეს უკვე არსებობს და საქმეც ჩინებულად მიდის. მე თვითონ ყოველ დღე ვთვალყურებ სამკითხველოს, ერთად სარევიზიო კომისიასთან ანგარიშებიც გადავსინჯე, ყოველივე სისწორით არის მოლარის მიერ ჩაწერილი საკვიტანციო წიგნაკსა და შემოსავლ-გასავლის დავთრებში, ქვა და კირიც გაყიდა კომიტეტმა, ფული სამკითხველოს თანხას მიუმატა, რომელიც ინახება კომერციულ ბანკში; ასე რომ მიქაბერიძე ტყუილად იწუხებს თავს და ავრცელებს ხმებს, ვითომ ნაცვლიშვილს, ან რომელიმე წევრთაგანს განეზრახოს კაპეიკების ჩაჯიბვა, უკეთუ ის არ აღმოჩენოდა სამკითხველოს დარაჯათ; წაიკითხავს თუ არა მის არეულ-დარეულ წერილს, ვინ არ შეიტყობს, რომ ყოველივე შურისძიებით და გულღვარძლიანობით არის გამოწვეული, რის გამო მთელი წერილი ლანძღვა გინებაზეა აგებული.

ამგვარობა სჩვევია მას, რის გამო სადაც და ვისთანაც უმსახურია 25 წლის განმავლობაში, ყველგან ალიაქოთი აუყენებია. რადგანაც ძვალ-რბილში სიხარბისა და შურის ძიების გამო გამჯდარი აქვს სხვისი პიროვნების დამცირება და თავისი თავის ქება-დიდება, ამიტომ როგორც მოკლილ კაცს, მას კიდევ ამოუკრებია ერთი და იგივე „მარგალიტები“ თავისი შარშანდელი წერილებიდან, რედაქცია შეცდომაში შეუყვანია და დაუბეჭდია გულის მოსაფხანად. მეტის მეტი შურით საბრალო ისე აბნეულა, რომ ჩემი სახელი და გვარიც დავიწყებია და ვლ. ნაცვლიშვილის მაგიერ ვილაც „ნაცრიშვილს“ ახსენებს და მეოთხე დღეს შესწორებას აკეთებს; არ გამიკვირდება მისი გონებრივი სიბეცის ნაყოფი, რომელიც მართლდება ლათინური ანდაზით: „როდესაც ღმერთი ვისმეს დასჯას მოინდომებს, ჯერ ჭკუა-გონებას დაუკარგავსო“ ვიკავებ თავს და არ მივცემ ჩემ თავს ნებას შევამკო ისე მიქაბერიძე; როგორც მას იცნობენ მისივე ახირებულობით და შურიანობით; ის ზღაპრებს იგონებს სხვისი პიროვნების დასამცირებლად და მე კი შემიძლია მრავალი ნამდვილი ფაკტები მიქაბერიძის სასაცილო საქციელისა, რომელიც სხვასაც მოეხსენება, ყველა ჩამოვთვალო, მაგრამ იმ ოქმის შემდეგ, რაც დაადგინა სამაზრ. კომიტეტმა 14 ივნისის სხდომაზე და მოათავსა გაზეთში, ზედმეტად მიმაჩნია მისი დახასიათება; რამდენიც უნდა მლანძღოს ხმას არ გავცემ, რადგანაც საზოგადოება მასაც კარგად იცნობს და იმ პირებსაც, რომელთათვისაც ჩირქის მოცხება განუზრახავს. მისივე წერილები ახასიათებს მას და ამტკიცებს მის გონებრივ სიბეცეს და ზნებრივ სიმახინჯეს.

**ლადო ბზვანელი.**

**რედ. შენიშვნა.** ამ კითხვის გამო რედ. სპობს ამიერიდგან ყოველგვარ კამათს.

## რუსეთი.

მთავრობის წინააღმდეგ.

გაზ. „პატარა გაზეთში“ დასტამბული იყო მოწოდება აწინდელ დროებითი მთავრობის დასამხობათ. ამ მოწოდების გამო დროებითი მთავრობა აცხადებს, რომ ყოველი ძალღონით შეებრძოლება მმართველობის წინააღმდეგ გამოსვლებს, რომელიც შინაურ სამოქალაქო ომის წარმომშობიაო.

„პატარა გაზეთის“ სტამბა.

14 ივნისს „პატარა გაზეთის“ სტამბაში მივიდა შეიარაღებული ჯარისკაცების რაზმი ოფიცერითურთ და განაცხადა, „პატარა გაზეთი“-ს პასუხისმგებელ რედაქტორის ნახვა გვინდაო. რედაქტორი ერემეევი სტამბაში არ აღმოჩნდა. მაშინ ჯარისკაცებმა მესტამბეს აჩვენეს პეტროგრადის სამოსამართლო პალატის ორდერი, რომლის ძალითაც უნდა დაეტუსაღებიათ იგი. ჯარისკაცები აღელვებით ამბობდნენ: „თავისუფლების მტერია, შეიარაღებულ დემონსტაციის მოწყობა სურს, რომ რევოლუციას უმტროსო“. შეიარაღებული რაზმი ამის შემდეგ რედაქტორის ბინაზე გაემართა, სადაც შეიპყრო კიდეც ერემეევი.

საალყო წესები.

ქ. ენისეიში ძალზე გახშირდა განზრახ ცეცხლის გაჩენა, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები, ამის გამო საზოგადო თავდაცვის კომიტეტმა ქ. ენისეი საალყო წესებს დაუმორჩილა.

მოსავლის ნიშნები.

ხარჯის ამკრეფ ინსპექტორების ცნობით წელს ჰირნახულის მოსავალი 77 მაზრაში საშუალოზე ნაკლებია. 48—საშუალო, 29— უნუგეშო, 221—დამაკმაყოფილებელი, და 57-კარგი მოსავალი გაუფუჭებია მაისის ნოტიოს და წვიმებს.

დატუსაღება.

ხარკოვში დაატუსაღეს რ. ს. მ. პარტიის წევრი და შემარიგებელ კამერაში მომუშავე ზინჩენკო. მას ბრალდებოდა ბრილიანტების მაღაზიის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება დატუსაღების შემდეგ გამოირკვა, რომ ზინჩენკო დამცველ პოლიციაშიც თანამშრომლობდა.

არეულობა უეზდში.

ქალაქში სანოვაგის სიმცირემ დიდი აღშფოთება გამოიწვია ბრბო ვარს შემოერტყა სასურსათო მმართველობას და იძახდა: „მომეცით პური და შაქარიო“.

შემდეგ დაატუსაღეს ქალაქის მოურავი და ცხენოსან მილიციელთა თანხლებით მუშათა საბჭოში წაიყვანეს.

გენ. ნასკოვის სიკვდილი,

რიგის ფრონტიდან ხარკოვში მოასვენეს გენ. ნასკოვის გვამი. ნასკოვი დამსახურებული სარდალი იყო; მას იაპონიის ომში მიღებული ჰქონდა წმ. გიორგის ორი ჯვარი ამ ომში საფრანგეთის რესპუბლიკისა გან მიიღო საპატიო ლეგიონის ორდენი. ერთ საღამოთი გენ. ნასკოვს შეტევა გამოუცხადებია. ამ დროს მის გარშემო მდგომ ჯარის წრეებიდან თოფი გავარდნილა და ტყვია გენერალს თავში მოხვედრია.

წისქვილის პატრონის ჩივილი.

ხარკოვის წისქვილის პატრონი ეზლერი ქალაქის აღმ. კომიტეტში აცხადებს რომ მისი მდგომარეობა აუტანელია. მუშები დიდ საფასურს თხოულობენ. მუშებმა ურემზე დააკრეს და ქუჩაში ისე გაატარეს წისქვილის გამგე და ტეხნიკურ მხარეთა მეთვალყურე. მუშები მოითხოვენ აგრეთვე რომ ეზლერის შვილი, სტუდენტი მძევლათ ყავდეთ, რომ წისქვილის პატრონმა მუშებთან დადებულ პირობას თავის დღეში არ გადაუხვიოს.

## მოწერილი ამბები.

სოფ. თერჯოლა (შორაპ. მაზრა.)

ეს სოფელი როგორც მდებარეობით, ჰავით და მოსავლით ერთ საუკეთესო კუთხეს შეადგენს ზემო იმერეთში; კულტურული დაწესებულებინაც დღემდის, შედარებით სხვა სოფლებთან, წინ იდგა: აქ არსებობს ხუთი ორ კლასიანი სასწავლებელი, აფთიაქი, საფოსტო განყოფილება, საკრედიტო ამხანაგობა. უფასო წიგნი საცავ სამკითხველო, მომხმარებელი საზოგადოება და სხვა... ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებში საქმე წესიერათ არის დაყენებული და ყველა ფერი რიგზე მიმდინარეობს. აქ არის დაარსებული ეროვნულ-დემოკრ. პარტიის ბიურო და წევრთა რიცხვი ყოველ დღე მრავლათ ეწერება. ამ ერთი თვის წინათ ქ-ნ გალინა ქოჩიაშვილის მეთაურობით აქ დაუარსებიათ ქალთა ეროვნულ წრე, რომელშიდაც დღემდის 150-დე წევრია ჩაწერილი, რომელსაც მიზნადა აქვს დასახული ყოველ კვირაში ლექციებისა და წარმოდგენების გამართვა. 29 ივნისს ამავე ქალთა წრის თაოსნობით აქ გაიმართება წარმოდგენა-წარმოადგენენ ირეთელის დრამას „სოფლის გმირები“ და სხვა. ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი გალინა ქოჩიაშვილის ასული რომელიც ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ საზოგადოებაში ყოველგვარი კეთილი აზრი გაავრცელოს წინმსვლელობისა ეროვნული გრძნობის ჩანერგისათვის,

**ნიავი.**

## საღამო ქვიტირის ქუჩაზე.

შაბათს, 17 ივნისს, ქვიტირის ქუჩაზე გამართულ იქმნა საღამო ახლად დაარსებულ წიგნთ საცავ სამკითხველოს ფონდისათვის. საღამოს პროგრამა შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან;

1 განყოფილებაში მონაწილეობდნენ ახალგაზდა მგოსანი ლ. მაჭავარიანი, შ. ციბაძე და [illegible] ლექსები [illegible] განყოფილებაში სკრიპკაზე დამკვრელმა შალვა ლეკვიაშვილმა, შეასრულა სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოები.

2. განყოფილებაში, წარმოდგენილ იქმნა ერთ მოქმედებიანი პიესა „დუქანში“, რომლის დადგმაში მონაწილეობა მიიღეს ქვიტირის უბნის სცენის მოყვარე პირებმა: პ. მეფარიშვილმა; ბ. აბულაძემ; ს. წულუკიძემ; პ. რიკრიკაძემ. ტ. კუჭუხიძემ; გ. ცქიტიშვილმა და თ. ცაგარელისამ. საღამომ ჩაიარა სასურველათ და დამსწრე საზოგადოება დაკმაყოფილებული დაიშალა.

**ა. რიკრიკაძე.**

## სამგლოვიარო წერილი

ე. ხელთუფლიშვილის გარდაცვალების გამო.

დიდად დაგვალონა ძვ. მასწავლებლის ელენე ბესარიონის ასულის ხელთუფლიშვილის ტრაღიკულად გარდაცვალებამ. მუდამ დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა ჩვენს გულში.

მისი მადლიერი ნამოწაფარნი მასწავლებელნი: ანა, კატო და მოწაფე საეპარქიო სასწავლებლის მე 8 კლასისა ნუცა წერეთლები.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**ზ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** დებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში უსხამს „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4


## რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | -- საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან საგარაკო | დღის | 2 ს. 48 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | -- დილის | 11 ს. | „ |
| „ | -- ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | -- საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | --დღით — | 5 ს. 20 | „ |
| ბათუმისაკენ საგარაკო | დღის | 3 ს. 16 | წ. |


## თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

**განცხადება.**

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია **„ჩვენი ახალი მწერლობა“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა **„ია ეკალაძე. მოთხრობები“**, წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში